პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 232 (3209) 30 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1966 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა რესპუბლიკის ფალავანთა პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: გ. გიორგაძე (თბილისი), ჯ. ხორბალაძე (კასპი), რ. ლომსაძე, ბ. მარიდაშვილი (ორივე — თბილისი), რ. მალალთაძე (გორი), ვ. იაშვილი (კასპი), გ. კახაბრიშვილი (თბილისი), ი. მჭედლიძე (გორი).



„განთიადის" სპორტდარბაზში დამთავრდა თბილისის პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში 1950-54 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ქალაქის განათლების განყოფილების 58-ე ჯგუფის აღსაზრდელებმა (მწვრთნელები დ. ადაშკოვა და ე. ბუშინსკაია).

პირველთანრიგოსან გოგონებში თავი ისახელა 50-ე სკოლის მერვეკლასელმა ვ. ხაჩატუროვამ, რომელმაც 1,4 ქულით გაუსწრო 52-ე სკოლის IX კლასის მოსწავლე ლ. ზინკოვას (43,5 ქულა). III ადგილი წილად ხვდა 52-ე სკოლის მეშვიდეკლასელ ს. მირჩენკოს — 43,45 ქულა.

მეორეთანრიგოსნებში გაიმარჯვა ნ. შაბურიშვილმა — 34,65 ქულა.

• • •

სურათზე: ვ. ხაჩატუროვა.

ფოტო ი. იუნაევისა.

## უცხოეთიდან საათი...

◆ კარაჩი, 29 ნოემბერი. პაკისტანის ეროვნულ ჩემპიონატში წარმატებით ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა ჩოგბურთელებმა ასევე პირველი ადგილები დაიკავეს ლახორში გამართული ტურნირის ყველა თანრიგში. მასპინძლებმა, რომლებიც ჯერჯერობით ბეჯითი მოწაფეების როლში გამოდიან, მეტოქეობა ვერ გაუწიეს სტუმრებს. ქალთა ფინალში კიეველმა გ. ბაკშეევამ მოუგო რიგელ ზ. იანსონეს, ხოლო ვაჟებში — მოსკოველმა ვ. ეგოროვმა — თბილისელ თ. კაკულიას (6:4, 6:4, 6:3). ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს ვ. ეგოროვმა და ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა, ქალთა წყვილებში — ბაკშეევამ და იანსონემ, ხოლო შერეულში — ბაკშეევამ და ლიხაჩოვმა.

◆ პნომპენი, 29 ნოემბერი. აქ მიმდინარე აზიურ თამაშებში ძალოსნებმა მსოფლიოს 2 რეკორდი დაამყარეს. ჩინელმა ჩენ მან-ლინმა (მჩატე წონა) აჰიმა 118,5 კგ, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია ირანელი მ. ნასირის რეკორდზე. მეორე მიღწევის ავტორიც ჩინელი ათლეტია — სიაო მინგ-სიანგი (ქვემსუბუქი წონა). მან აკრა 158 კგ და გააუქმა ამერიკელი ი. ბერგერის მსოფლიო რეკორდი.

## ჩვენები ლიდერობენ

[illegible]

ტოკიო, 29 ნოემბერი. „თავბრუდამხვევი" საჰაერო მოგზაურობით გამოწვეული დაღლილობის მიუხედავად, საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ლიდერობენ იაპონია — სსრ კავშირის IV ტრადიციულ მატჩში, რომელიც დღეს ნაგოიაში დაიწყო. პირველი დღის შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა ვაჟები 0,75 ქულით დაწინაურდნენ, ხოლო ქალები — 0,9 ქულით.

ვაჟებმა სამ სახეობაში ცადეს ძალა — თავისუფალ ვარჯიშში, ტაიჭზე და რგოლებზე. თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობეს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მ. ვორონინმა და იაპონელმა ტ. ხირაიმ—9,7 ქულა თვითეულს. შემდეგ იყვნენ: ვ. კარასიოვი— 9,65, ტ. კატო და ა. ნაკაიამა — 9,60 თვითეულს, ს. დიომიდოვი — 9,55, ტ. მიცუკური — 9,45.

ტაიჭზე ვარჯიშში ადგილები ასე განაწილდა: ვორონინი — 9,8, დიომიდოვი — 9,75, მიცუკური და კარასიოვი — 9,6 თვითეულს, ნაკაიამა—9,5, კატო — 9,4.

რგოლებზე ვარჯიშმა ასეთი შედეგები მოგვცა: ნაკაიამა — 9,85, ვორონინი — 9,80, დიომიდოვი — 9,7, კატო — 9,6, მიცუკური — 9,55, კარასიოვი — 9,5.

პირად ჩათვლაში ლიდერობს ვორონინი — 29,3. II ადგილზეა დიომიდოვი — 29,0, III — ნაკაიამა — 28,95.

ქალები ასპარეზობდნენ ბჯენით ხტომებსა და ორძელზე. ორივე სახეობაში ყველას აჯობა ნ. კუჩინსკაიამ (ხტომები — 9,7, ორძელი — 9,8). ხტომებში მეორე იყო ზ. დრუჟინინა — 9,55. შემდეგ მოდიან: ტ. სიბუია და ს. ტაძიმა — 9,5 თვითეულს. დრუჟინინამ ორძელზეც მეორე შედეგი აჩვენა — 9,75. აქ მესამე იყო სიბუია — 9,7.

პირად ჩათვლაში კუჩინსკაიას აქვს 19,55 ქულა. შემდეგ მოდიან: დრუჟინინა — 19,3, სიბუია — 19,2, პეტრიკი — 19,0, ტაძიმა — 18,95, იამაგამი — 18,9, ჯანუყაშვილი — 18,85, ხარლოვა და იკედა — 18,8 თვითეულს, ბერიკაშვილი — 18,75.

პირველი დღის შემდეგ სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებს 143,65 ქულა აქვს, იაპონიის გუნდს კი — 142,90. ჩვენი ქალების შედეგია 95,55 ქულა, მასპინძლებისა — 94,65.

## კონსტიტუციის თასზე

# პირველი შედეგები

### კალათბურთი

თბილისში, ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დაიწყო კალათბურთელთა ტრადიციული შეჯიბრება კონსტიტუციის თასზე. ტურნირში მონაწილეობს ქალთა 10 და ვაჟთა 14 გუნდი. გათამაშების პირველი მატჩები ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს, შემდეგ კი 4-4 გუნდი იბრძოლებს წრიული სისტემით. ქალთა ოთხეულში მონაწილეობას მიიღებენ, აგრეთვე, ბაქოსა და როსტოვის „ბურევესტნიკის" კოლექტივები.

პირველ დღეს ისპარეზეს ვაჟთა გუნდებმა, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე შეხვედრა გამოდგა საინტერესო: ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველმა ნაკრებმა ანგარიშით 58:22 დაამარცხა ამ სასწავლებლის მეორე კოლექტივი, სამედიცინო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების კალათბურთელთა შეხვედრაში კი გაიმარჯვეს მომავალმა ინჟინრებმა — 56:49. თბილისის განათლების განყოფილების გუნდისა და უნივერსიტეტის II ნაკრების მატჩი მოიგეს უნივერსიტეტელებმა — 52:48. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაამარცხეს „შრომითი რეზერვები" — 54:46.

●

### ფრენბურთი

კონსტიტუციის თასზე დაიწყო ფრენბურთელთა შეჯიბრებაც. გათამაშებაში გამოდის ქალთა 12 და ვაჟთა 13 გუნდი. მოგვყავს ტექნიკური შედეგები: **ქალები.** პედინსტიტუტი — მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი 2:0, განათლების განყოფილება — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი 2:0, უნივერსიტეტი — „ისანი" 2:0, განათლების განყოფილება II — „ფეიქარი" 2:0; **ვაჟები.** თბილისის ელმავალსაშენი ქარხანა — რკინიგზის ტექნიკუმი 2:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი I — უნივერსიტეტი 2:0.

ლ. თუშიშვილი.

# გეგმა და შესრულება

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში მშთ ნიშნოსნებისა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების შესახებ (15 ნოემბრისთვის)

| საზოგადოებები | მშთ ნიშნოსნები | | II, III და ჭაბუკთა თანრიგი | | I თანრიგი და ოსტატობის კანდიდატ. | | სპორტის ოსტატები ეროვნულ სახეობებში | | სპორტის ოსტატები და საერთაშორისო ოსტატები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება | გეგმა | შესრულება |
| 1. „ბურევესტნიკი" (თავმჯდომარე გ. ჭილაია) | — | 782 | 4.000 | 2 256 | 400 | 276 | — | 3 | 47 | 32 |
| 2. „განთიადი" (თავმჯდომარე ი. ბოჭორიძე) | 13 641 | 7.308 | 14 500 | 12 197 | 267 | 248 | — | — | 21 | 23 |
| 3. „დინამო" (თავმჯდომარის მოადგილე ვ. დიდიძე) | — | — | 7 505 | 5 742 | 300 | 306 | — | — | 35 | 26 |
| 4. „ვოდნიკი" (თავმჯდომარე ო. ბუაძე) | — | — | — | — | — | — | — | — | 1 | 1 |
| 5. „კოლმეურნე" (თავმჯდომარე ვ. ჟღენტი) | 27-000 | 18 581 | 15 000 | 11 333 | 200 | 158 | — | — | 21 | 14 |
| 6. „ლოკომოტივი" (თავმჯდომარე თ. კაჭახიძე) | 1.800 | 1.087 | 3.500 | 2 742 | 100 | 125 | — | — | 10 | 8 |
| 7. განათლების სამინისტრო (განყოფილების გამგე ი. ბაცელაშვილი) | — | — | — | — | — | — | — | — | 3 | 3 |
| 8. არმიელთა სპორტკლუბი (კლუბის უფროსი ვ. ჟურული) | — | — | — | — | — | — | — | — | 26 | 6 |
| 9. „სპარტაკი" (თავმჯდომარე გ. ცქიტიშვილი) | 11.645 | 12 006 | 13 500 | 13.622 | 220 | 235 | — | — | 21 | 8 |
| 10. „შრომითი რეზერვები" (თავმჯდომარის მოადგილე გ. კირვალიძე) | 6.100 | 5.145 | 10.000 | 8.430 | 100 | 72 | — | — | 2 | 2 |
| სულ რესპუბლიკაში | 60.186 | 44 909 | 68 005 | 56 322 | 1.587 | 1.420 | — | 3 | 187 | 128 |

# ვადამდე და გადაჭარბებით



ჩვენს წინაა დეპეშა, რომელიც „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. კირვალიძემ მიიღო მოსკოვიდან: „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭო საზოგადოების საქართველოს ორგანიზაციის მუშაკთა კოლექტივს ულოცავს წლიური გეგმის ვადამდე შესრულებას. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს".

ჩვენმა კორესპონდენტმა ო. ბელაშვილმა ინახულა „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექგანათლების კომიტეტის უფროსი მ. ჩიხლაძე და ინტერვიუ სთხოვა მას.

## ინტერვიუ

**● როგორია საზოგადოების წლევანდელი მაჩვენებლები?**

— საქართველოს „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურული კოლექტივები ბოლო წლებში მუდამ გადაჭარბებით ანაღდებენ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო გეგმებს, რისთვისაც კარგა ხანია ვფლობთ ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალ დროშას. ცხადია, თავის შერცხვენა არც წლეულს გვსურდა, — ოქტომბრის 50 წლისთავს ხომ ღირსეული შეხვედრა უნდა! ჩვენმა კოლექტივებმა მართლაც კარგად იმუშავეს სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისში. წლიური გეგმით გათვალისწინებული 2 სპორტის ოსტატის ნაცვლად 18 ნოემბრისთვის მომზადებულია 6; ოსტატობის კანდიდატთა აღზრდას გეგმა საერთოდ არ ითვალისწინებდა, მაგრამ 2 კანდიდატი მაინც მომზადდა. ასევე დიდი წარმატება გვაქვს თანრიგოსანთა აღზრდაში: I თანრიგი — 100-ს მაგიერ — 114, II თანრიგი — 800-ს მაგიერ — 904, III თანრიგი — 4300-ს მაგიერ — 5036, მოზარდთა თანრიგი — 4900-ს მაგიერ — 5259. 6100-ს ნაცვლად ჩვენმა კოლექტივებმა მოამზადეს მშრ I და II საფეხურის 6588 ნიშნოსანი, 6500 საზოგადოებრივი მუშაკის ნაცვლად — 7057. ტურიზმის განვითარებაშიც პირნათლად არიან — გეგმა 200 პროცენტზე მეტით გაანაღდეს.

**● ცხადია ეს მთელი თქვენი კოლექტივის საერთო წარმატებაა. მაგრამ საუკეთესოთა შორის საუკეთესონიც ხომ გყავთ?**

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფოთის მე-12 (დირექტორი შ. ჩუბაძე; ფიზაღზრდის ხელმძღვანელი რ. ქარუმოვი), ქუთაისის 33-ე (გ. მაჩიტაძე; გ. ახვლედიანი), რუსთავის მე-17 (კ. ბარამიძე; გ. უნაფქოშვილი), თბილისის თოიძის სახელობის მე-11 (ჰ. გოგოლაშვილი; კ. გირგიტოვი), 26-ე (ვ. გოცირიძე; ს. მეგრელიშვილი), 31-ე (გ. ჩაჩხიანი; კ. ყიფიანი) პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა და თბილისის ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა (ი. ბიბილეიშვილი; უ. ბარნაბიშვილი).

**● „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურელთა ერთადერთი წარმატება წლეულს გეგმების შესრულება არ უნდა იყოს.**

— გეგმების შესრულება დამოკიდებულია კარგად ორგანიზებულ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაზე, შიდასაკოლექტივო, რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ტურნირების ხშირად გამართვასა და მათში რაც შეიძლება მეტი სპორტსმენის ჩაბმაზე. ჩვენი საზოგადოება 14392 ფიზკულტურელს აერთიანებს. წლეულს ყველა სახის ღონისძიებაში, მათ შორის, სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლების II და რესპუბლიკის XIX სპარტაკიადებში 40 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, ესე იგი, თითო ფიზკულტურელი საშუალოდ სამ შეჯიბრებაში ცდიდა ძალას. რესპუბლიკური ტურნირების ორგანიზებულად გამართვამ საშუალება მოგვცა კარგად დაგვეკომპლექტებინა ნაკრები, რომელმაც საკავშირო სპარტაკიადაში ისახელა თავი. სოფლის მეურნეობის სასწავლებლების სპორტსმენთა ტურნირში II ადგილზე გავედით, გარდაბნის მე-10 სასწავლებლის ფრენბურთელმა ვაჟებმა კი ჩემპიონობა მოიპოვეს. III ადგილი დაიკავეს მძლეოსნებმა. არც ცენტრალური საბჭოს მორიგ სპარტაკიადაში ჩამოვრჩით — VI ადგილი დავისაკუთრეთ. ჩვენმა კალათბურთელმა ვაჟებმა უძლიერესის სახელი მოიპოვეს. II ადგილები გაინაღდეს ფეხბურთელებმა და აკრობატებმა, III — თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა, IV — მოცურავეებმა და კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა... სულ ამ შეჯიბრებებში საქართველოს ათლეტებმა ოქროს 23, ვერცხლის 27 და ბრინჯაოს 7 მედალი დაისაკუთრეს. არც სპარტაკიადის მერე გვძინებია. ამას წინათ მოსკოვში ჩვენმა ველოსიპედისტებმა ტრეკზე რბოლა მოიგეს. მათ არც ტანმოვარჯიშე ვაჟები ჩამორჩნენ.

**● პირად ჩათვლაში გყავთ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი?**

— როგორ არა, კლასიკურ ჭიდაობაში — ტ. ძებისაშვილი და ს. გაგნიძე, თავისუფალ ჭიდაობაში — რ. ბაღდასაროვი (ყველა — მე-11 სასწავლებელი) და ი. თვალაძე (ქუთაისის მე-4 სასწავლებელი), სპორტულ ტანვარჯიშში 31-ე სასწავლებლის აღსაზრდელი გ. ჩქოტუა, რომელმაც ორძელზე ისახელა თავი, ხოლო ა. კუკოტამ (ინდუსტრიული ტექნიკუმი) თავისუფალი ვარჯიში მოიგო. სხვა პრიზიორების ჩამოთვლაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, კმარა. სამაგიეროდ, უმართებულო იქნებოდა არ აღვენიშნა მწვრთნელების მ. ქელეხსაშვილის, ნ. ძიაპშიპას, გ. ჯულუხიძის, ო. დადუნაშვილის, თ. იორდანიშვილის, თ. თედეევას, ლ. დვალის, ვ. შახბაზოვის კარგი მუშაობა. სწორედ მათმა თავდადებამ შეუწყო ხელი ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებებსა და გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

**● სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადამდე 8 თვე დარჩა. რას იტყვით ამ დიდი ასპარეზობისთვის სამზადისზე, რა შევსებას მისცემთ რესპუბლიკურ ნაკრებს?**

— ქადილი ზედმეტია. რა თქმა უნდა, როგორც ყველას, ჩვენც გვსურს ბევრი სპორტსმენი გვყავდეს რესპუბლიკის ნაკრებში, მაგრამ სასწავლებლების სპეციფიკა, სწავლების შედარებით ხანმოკლეობა არ იძლევა საშუალებას ისეთი ძლიერი სპორტსმენების მასობრივად აღზრდისთვის, „დინამოს" „ბურევესტნიკის" და სხვა საზოგადოებათა ათლეტებს რომ დაჯაბნიან. და მაინც, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წვლილი შევიტანოთ საქართველოს ნაკრების წარმატებაში.







სურათებზე: ველორბოლა დაიწყო; ნიჩბოსნები ფინიშისკენ მიისწრაფვიან; ცეცხლის ხაზზეა ი. იოფისი.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

# დასანანი კია...

ბათუმის IV საქალაქო სპარტაკიადაში საასპარეზოდ საუკეთესო ძალებმა მოიყარეს თავი. „დინამოს" სტადიონს არც მაყურებელი აკლდა. სპარტაკიადის პირველ დღეს აქ მოვიდნენ ქალაქისა და ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. ნიჟარაძე. ალმის აღმართვის შემდეგ მე-5 და მე-10 სკოლების მოსწავლეებმა შეასრულეს მასობრივი ვარჯიშები. ისინი მანქანათსაშენი და ელექტროხელსაწყოების ქარხნების ფეხბურთელებმა შეცვალეს. საინტერესო თამაში ელექტროხელსაწყოების ქარხნის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა — 3:0.

და აი, საჩვენებელი გამოსვლების შემდეგ დაიწყო მძლეოსანთა ტურნირი, რომელმაც მაინცდამაინც მაღალი შედეგებით ვერ გაგვახარა. მოასპარეზეებმა სულ აჩვენეს 1 პირველი, 5 მეორე და 48 მესამე თანრიგის შედეგი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „სპორტის დედოფალი" ბათუმში პოპულარობით აღარ სარგებლობს. დასანანი კია...

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა — 13.223 ქულა. II ადგილზეა „ვოდნიკი" — 4.757, III — „სპარტაკი" — 2.705.

პირად შეჯიბრებაში ერთადერთი ს. პონომარიოვა („დინამო") იყო, რომელმაც I თანრიგის შედეგი აჩვენა: ხუთჭიდში მან 3.844 ქულა მოაგროვა. იქნებ სპორტსმენს მეტი ქულა მოეპოვებინა, თუნდაც ერთი მეტოქე რომ ჰყოლოდა. ორი გამარჯვება იზეიმა დინამოელმა გ. იმნაძემ — 400 (52,2) და 5.000 მეტრზე (16.31,6) რბენაში. ქალთა სიმაღლეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში 2-2 სპორტსმენი ასპარეზობდა. გამარჯვებულთა შედეგებიც ამიტომ იყო უხეირო: ს. სტეპანენკომ („განთიადი") 130 სმ სიმაღლე გადალახა, ტ. ზნახურენკომ („დინამო") კი ბირთვი 11,53 მეტრზე ჰკრა. 100 მეტრზე ქალთა რბენა მოიგო ლ. პულიკიდიმ — 14,2, ვაჟთა რბენა — ბ. ლეონოვმა — 11,5. 1.500-მეტრიან დისტანციაზე კი პირველი იყო ი. ზალივიჩი (ყველა — „დინამო") — 4.34,8.

ფრენბურთსა და კალათბურთში ძლიერი გუნდები გამოიყვანეს „სპარტაკმა" და „ბურევესტნიკმა". ვაჟთა შორის ორივე სახეობაში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა, ქალებში კი — სტუდენტებმა. სამაგიეროდ, განთიადელებს ტოლი არ ჰყავდათ წყალბურთსა და ცურვაში.

დაძაბულად მიმდინარეობდა შეხვედრები ტანვარჯიშში, სიმძიმეების აწევასა და ჭადრაკში. სამივე ტურნირი ბურევესტნიკელთა გამარჯვებით დამთავრდა. დინამოელებმა ყველას აჯობეს საგზატკეცილო ველორბოლაში. პირად ასპარეზობაში კი გაიმარჯვეს: 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში — სპორტის ოსტატმა ვ. იურკინამ („განთიადი"), 25 კილომეტრზე ვაჟთა რბოლაში — ვ. ეროხინმა („დინამო").

დინამოელები უძლიერესნი იყვნენ ნიჩბოსნობაშიც.

სინანულს იწვევს მოკრივეთა ტურნირი. იყო დრო, როცა ბათუმში რინგის კარგი ოსტატები იზრდებოდნენ, ახლა კი... თავად განსაჯეთ: ტურნირში გუნდები მარტო „სპარტაკმა" (7 მოკრივე) და „დინამომ" (5) გამოიყვანეს. საინტერესოა, ქალაქის ფიზკულტურული მუშაობის თავკაცები როგორ აპირებენ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამოსვლას?

მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე წოლელა სროლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ვ. კარგოპოლცევი („დინამო"), ქალებში კი ყველას აჯობა ი. იოფისმა („სპარტაკი"). დინამოელმა ჯ. თიკანაძემ მოიგო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა, ხოლო განთიადელმა ვ. კრასნოპოლსკიმ — მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე შეჯიბრება. საერთო პირველობა დინამოელებს ხვდათ.

ბევრი მაყურებელი მიიზიდა ქართულმა ჭიდაობამ. მართალია, პირად ჩათვლაში ყველაზე მეტი ჩემპიონი „განთიადს" ჰყავს, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში წარმატება სპარტაკელებმა იზეიმეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: რ. მანჯგალაძემ („სპარტაკი"), ა. აფხაზავამ („განთიადი"), გ. ბიჭიკაშვილმა („სპარტაკი"), ტ. გოგიჩაიშვილმა, რ. ციცბამ, ა. გოგიჩაიშვილმა (ყველა — „განთიადი"), ე. გასვიანმა („სპარტაკი"), ა. ბაკურიძემ („დინამო").

თავისუფალ ჭიდაობაში თავი ისახელეს: ა. აბუსერიძემ („სპარტაკი"), რ. ჯორბენაძემ, გ. გოგიჩაიშვილმა, ფ. გაგუამ, ა. ქავთარაძემ (ყველა — „დინამო"), ჯ. დევაძემ („სპარტაკი"), გ. ყაჭეიშვილმა და ა. ხიდაშელმა (ორივე — „დინამო"). გუნდური პირველობა დინამოელებმა დაისაკუთრეს.

სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „დინამო", 2. „სპარტაკი", 3. „განთიადი".

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## ფიზკულტურული ქრონიკა

**ქობულეთი**

კომკავშირის რაიონულმა კომიტეტმა და „კოლმეურნის" რაისაბჭომ მოაწყეს სოფლის სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრება ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდა 16 კოლექტივი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ოჩხამურის საშუალო სკოლისა და ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის გუნდები. გამარჯვება წილად ხვდათ ოჩხამურელებს.

ლ. ტრაპაიძე.

**სოხუმი**

აფხაზეთის მოჭადრაკეთა პირველობაში 18 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი, ისე როგორც შარშან, ტყვარჩელელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. ბრეიტმანმა მოიპოვა (14,5 ქულა). II ადგილი წილად ხვდა ახალგაზრდა პირველთანრიგოსან ვ. გიორგაძეს (12), III — პირველთანრიგოსან ლ. ზაიდშერს (11,5).

შ. ჯალაღონია.

## ფეხბურთის მინდორი გადაგვიხსნეთ

### წერილი რედაქციაში

ორჯონიკიძის რაიონის სოფელ თეთრა-წყაროს ახალგაზრდებმა ამ ორიოდე წლის წინ საკუთარი ძალებით მოვაწყეთ ფეხბურთის მინდორი, სადაც ხშირად ვთამაშობდით მეზობელი სოფლების გუნდებთან.

მაგრამ შემდგომში კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. მანჯავიძის განკარგულებით სათამაშო მინდორი გადაგვიხნეს, თუმცა კოლმეურნეობას საამისოდ შეეძლო სხვა ადგილიც გამოეძებნა.

მოვითხოვთ დაგვიბრუნონ ჩვენი საფეხბურთო მინდორი.

სოფელ თეთრა-წყაროს ახალგაზრდობა.

## ყოვ...

**უკვალოდ და...**

მას კარგად იცნობდნენ მძლეოსნობ... თუ...
ლებიც. იგი რამდენიმე წელი ფლობ...
სახელს. მასზე უკვე 1959 წელს დ...
მამებში III ადგილი მოიპოვა. 196...
იყო — ამერიკის შეერთებული შტ...
და რომის XVII ოლიმპიურ თამაშ...
ზეებმა" ტაში არ დაიშურეს მისი ...
ლის აღსანიშნავად.

თავად იგი ყველაზე მნიშვნელოვა...
ტებას „მსოფლიოში უძლიერეს საბ...
მაგრამ ყველა ეს გამარჯვება, როგო...
შორეული, დაუბრუნებელი წარსული...
რად მის თაყვანისმცემლებს ერთი ...
მორჩათ: „კლიფტონ კამენი უკვალ...
ლის დროს".

ყველასთვის ნათელია, რას გულის...
ლები ვიეტნამის ჯუნგლებში". მშვ...
დამსჯელი ექსპედიციები უმწეო ქალ...
— აი, ინტერვენტების „საქმე" სამ...
ტსმენ კ. კამენსაც მას შემდეგ, რაც ...
მოქცეულიყო ისე, როგორც ზოგიერ...

## ჭადრაკი

# კიევური ბლოკნოტიდან

ამ ბოლო ხანებში კიეველთა გული სამმა ქართველმა მოინადირა: რეჟისორმა დ. ალექსიძემ მრავალსაუკუნოვანი მტვერი გადააცილა „ანტიგონეს" და თავისებურად „აამღერა" ვერდის უკვდავი „ოტელო", ლ. ჭყონია კიეველთა საყვარელი მომღერალია, ხოლო ნ. ალექსანდრია ჭადრაკის გულშემატკივართა კერპი გახდა. მოჭადრაკე გოგონამ ხომ კიევში მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება! ახლა კი იგი ფიცხელ იბრძვის „ესპანეთის საგზურისთვის", რომელიც პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობისთვისაა საჭირო.

ძალზე ძნელია თამაში სტარტზე ზედიზედ ორი წაგების შემდეგ. მით უფრო, რომ ჩაიკოვსკაიასთან ალექსანდრიას გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელია. ნანა ისე „გაავდა", რომ უმოწყალოდ „შემუსრა" მეტოქეები — ზედიზედ 6 პარტია მოიგო!

როგორც ჩანს, თბილისელი სტუდენტი საუცხოო სპორტულ ფორმაშია და მისგან დიდ წარმატებას ველით.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ვ. კოზლოვსკაია „მშვიდობიანადაა" განწყობილი: „რას ბრძანებთ, მე არც კი ვაპირებ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას, ახლავე „ხელს მოვაწერ" IV ადგილზე. პირველ ადგილს, ეტყობა, ზატულოვსკაია დაიკავებს. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ იგი არაფერს კარგავს — „ჯიბეში უდევს" პრეტენდენტთა ტურნირის საგზური".

უთანაბროდ გამოდის ე. კაკაბაძე. მან ერთ დღეს თითქმის უბრძოლველად წააგო რუბცოვასთან, მომდევნო ტურში კი შესაშური თანმიმდევრობით ეთამაშა ალექსანდრიას. მაინც, თ. ბოიახჩიანთან მოგებული პარტია ელისოს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამ პარტიაში ყველაფერი იყო: ღრმა სტრატეგიული გეგმა, მოხდენილი კომბინაციური იერიში.

ალა ჩაიკოვსკაიამ თითქოს დაივიწყა, რომ პოზიციური სტილის მოჭადრაკეა. იგი ყველას გამომწვევად და გაბედულად ეთამაშება. მხოლოდ ასე თუ მოიპოვებ პრეტენდენტთა ტურნირის საგზურსო, ამბობს.

საქართველოს ჩემპიონმა ც. კახაბრიშვილმა, რომელიც პირველად თამაშობს ჩემპიონატის ფინალში, კარგ სტილში მოუგო თ. ბოიახჩიანს. ჩვენი აზრით, მას გაუჭირდება ოსტატის ნორმის (11 ქულა) შესრულება.

დადგა ჩემპიონატის ცხარე დღეები. ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ჯერ კიდევ ბევრი სიხარული და ფათერაკია მოსალოდნელი.

ო. ბუჩმა.

კიევი.

## დაძაბულ ბრძოლაში

ბაქო, 29 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ამიერკავკასიის უძლიერეს მოჭადრაკეთა ტურნირი უაღრესად დაძაბული ბრძოლით ხასიათდება.

აი, ბოლო ტურების შედეგები.

VII ტური. მაჭავარიანი — გიორგაძე 1:0, ბოკუჩავა — კ. გრიგორიანი 0:1, ფ. შახტახტინსკი — ა. შახტახტინსკი 0:1, დემირხანიანი — ლ. გრიგორიანი 0:1, ლომაია — პავლენკო 1:0, პრივოროტსკი — ბუსლაევი 0,5:0,5. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამ დღეს არ შედგა ბაგიროვ—გაფრინდაშვილის პარტია.

VIII ტური. კ. გრიგორიანი — მაჭავარიანი 0,5:0,5, გაფრინდაშვილი — ბოკუჩავა 0:1, ბაგიროვი — ჩიქოვანი 0,5:0,5, პავლენკო — დემირხანიანი 1:0. 3 პარტია გადაიდო.

IX ტურში („ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული შედეგების გარდა) ლ. გრიგორიანმა მოუგო პრივოროტსკის, პავლენკომ — ფ. შახტახტინსკის.

დღეს საღამოს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ლ. გრიგორიანმა მოუგო ფ. შახტახტინსკის, სოლო გიორგაძე — ბუსლაევისა და ბოკუჩავა — ჩიქოვანის პარტიები ყაიმით დასრულდა. ა. შახტახტინსკის ავადმყოფობის გამო არ დამთავრდა მისი პარტიები პრივოროტსკისა და გიორგაძესთან.

ტურნირის ლიდერია ლ. გრიგორიანი (ერევანი) — 7,5 ქულა 8-დან.

## ფეხბურთი




საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრეში ძლიერად თამაშობს დინამოელთა მარჯვენა მცველი ბ. სიჭინავა (მარცხენა სურათზე). ასეთი იყო იგი კიეველებთან ამასწინანდელ მატჩშიც.

გ. სიჭინავა 27 ნოემბრის შეხვედრის ნამდვილი გმირი იყო და ეს ამბავი არც კიეველთათვის წარმოადგენდა საიდუმლოებას. მათი ნახევარმცველი ი. საბო თამაშის დამთავრების შემდეგ გამარჯვებას ულოცავს გ. სიჭინავას (მარჯვენა სურათზე). ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილები
### I ზონის I ქვეჯგუფი
მდგომარეობა 30 ნოემბრისათვის

**I-X ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" ლანჩხუთი | 18 | 11 | 5 | 2 | 25—11 | 27 |
| „შუქურა" ქობულეთი | 18 | 10 | 4 | 4 | 40—29 | 24 |
| „მერცხალი" მახარაძე | 17 | 7 | 4 | 6 | 15—15 | 18 |
| „კოლხეთი" ცხაკაია | 17 | 6 | 6 | 5 | 17—18 | 18 |
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 17 | 6 | 6 | 5 | 18—21 | 18 |
| ფიზ. ინსტ. თბილისი | 17 | 6 | 5 | 6 | 16—17 | 17 |
| „მესხეთი" ახალციხე | 18 | 4 | 8 | 6 | 24—27 | 16 |
| „ფეიქარი" წულუკიძე | 18 | 6 | 3 | 9 | 20—32 | 15 |
| „განთიადი" ბორჯომი | 18 | 3 | 7 | 8 | 14—21 | 13 |
| „სინათლე" თბილისი | 18 | 3 | 4 | 11 | 20—12 | 10 |

**XI-XXIV ადგილები**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე" წალენჯიხა | 12 | 7 | 1 | 4 | 22—9 | 15 |
| „მეშახტე" ტყვარჩელი | 11 | 7 | 1 | 3 | 15—12 | 15 |
| „მალაროელი" ჭიათურა | 11 | 5 | 4 | 2 | 13—9 | 14 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 11 | 5 | 3 | 3 | 16—13 | 13 |
| „ისანი" თბილისი | 11 | 6 | 1 | 4 | 13—15 | 13 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 10 | 4 | 3 | 3 | 10—11 | 11 |
| „ქართლი" გორი | 11 | 3 | 4 | 4 | 8—12 | 10 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 9 | 4 | 1 | 4 | 16—11 | 9 |
| ასკ თბილისი | 11 | 3 | 2 | 6 | 11—15 | 8 |
| „ირისთონი" ცხინვალი | 9 | 2 | 3 | 4 | 11—14 | 7 |
| „დინამო" I თბილისი | 10 | 3 | 0 | 7 | 9—23 | 6 |

# იმედიანი წუთები

დედაქალაქის ზამთრის საცურაო აუზი სამ დღეს მასპინძლობდა საქართველოს სპორტკავშირის თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდებს — პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი), „ლოკომოტივის", „განთიადის", ბათუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წყალბურთელებს.

შეჯიბრებაში რესპუბლიკის „უძლიერესი გუნდის — თბილისის „დინამოს" გამოუსვლელობამ სხვებს ბრძოლის ხალისი შემატა, ვინაიდან ხუთივე კოლექტივი თითქმის თანაბარი ძალისა იყო და ყველას ასე თუ ისე თანაბარი შანსი ჰქონდა გამარჯვებისა.

...ტურნირის დაწყებამდე დაძაბული, მღელვარე, იმედიანი წუთებიღა დარჩა. ბურთი ცისფერი მოედნის ცენტრშია. მსაჯმა პირველი წყვილი იხმო — „ლოკომოტივი" და სპი. შეხვედრა სტუდენტებმა მოიგეს — 3:1. გამარჯვებულებში განსაკუთრებით ვ. როდინმა ისახელა თავი — 2 ბურთი გაიტანა.

— ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ „ლოკომოტივი", ასე ვთქვათ, საკავშირო რანგის გუნდია: „ა" კლასის II ქვეჯგუფში გამოდის. ბუქარესტში, რკინიგზელთა მსოფლიო პირველობის მონაწილე სსრ კავშირის ნაკრებიც ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის წყალბურთელებით იყო დაკომპლექტებული. და აი, სწორედ ამიტომ უფრო სასიამოვნოა სტუდენტთა გამარჯვება, — მატჩის მერე გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. გვახარიამ.

ასპარეზობის მეორე დღეს საინტერესო იყო სტუდენტთა შეხვედრა განათლების სამინისტროს გუნდთან. ინტერესს უფრო ის ზრდიდა, რომ ძმები — ანზორ და შალვა მოშიაშვილები ამ დღეს მეტოქენი იყვნენ. ანზორი სტუდენტთა გუნდში თამაშობდა და მეორე პერიოდში გოლიც კი გაიტანა. შალვას თანაგუნდელების ცდა — გაეთანაბრებინათ ანგარიში, ამაო გამოდგა. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 3:0.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის წყალბურთელებმა სხვა მატჩებიც აღმავლობით ჩაატარეს. ვ. როდინის მიერ განთიადელთა კარში გატანილ ორ ბურთს მხოლოდ ერთით უპასუხა ი. ქართველიშვილმა (აღსანიშნავია, რომ „განთიადში" 3 ძმა — იური, ზურაბ და მერაბ ქართველიშვილები თამაშობენ). სტუდენტებს ბოლო მატჩი ბათუმელებთან ჰქონდათ. აქ კი აშკარა იყო თბილისელთა უპირატესობა — 9:2. ამ გამარჯვებით სტუდენტებმა დააგვირგვინეს თავიანთი გამოსვლები და თასიც დაისაკუთრეს.

II ადგილი წილად ხვდა „ლოკომოტივს", ხოლო III — ბათუმელთა კოლექტივს, რომელმაც ასევე დიდი ანგარიშით (2:10) წააგო მეორე პრიზიორთან.

გაკვირვებას იწვევს ერთ დროს ძლიერი „განთიადის" კოლექტივის წარუმატებლობა. როგორც ჩანს, გუნდში ყველაფერი რიგზე არ არის. განთიადელები, ალბათ, სათანადოდ ვერ იყენებენ იმ აუზებს, რომლებიც ამ საზოგადოებას აქვს.

ტურნირის შემდეგ ნ. გვახარიასთან საუბარი გაგრძელდა:

— ახალგაზრდებს გამოცდილება აკლიათ, ამიტომაც გადავწყვიტეთ ხშირად გავმართოთ ამხანაგური შეხვედრები: გამოცდილება, ტექნიკა და ტაქტიკაც ხომ შეჯიბრებებში მოვა თანდათან. რაც შეეხება მოსწავლეთა გუნდს, ბოლო ორ-სამ თვეს მის თამაშშიც იგრძნობა წინსვლა. ეს კოლექტივი, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ემზადება, ტურნირში უკონკურსოდ გამოდიოდა. მოსწავლეები ნოემბრის დამლევს მოსკოვს გაემგზავრებიან ამხანაგური შეხვედრების გასამართავად.

მთავარმა მსაჯმა გამარჯვებული გუნდის მწვრთნელთან, სპორტის ოსტატ ზ. ჩაჩავასთან მიგვიყვანა. მას გამარჯვება მივულოცეთ და ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა თავის გუნდზე.

— ჩვენი კოლექტივი, ძირითადად, პირველკურსელებითაა დაკომპლექტებული, რაც საშუალებას მოგვცემს შემდგომში უფრო მეტ წარმატებებს მივაღწიოთ. ბიჭებს არც ნიჭი აკლიათ და არც მონდომება. ვფიქრობთ, თასი მეტ რწმენას შემატებს მათ.

ნ. კევლიშვილი.

• • •

სურათზე: „განთიადისა" და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის მომენტი. მეორე ბურთი განთიადელთა კარში.

ფოტო ა. კავკასიძისა.



# ...ლი მხრიდან

### ...არგა...

...თუ ამერიკელი, უცხოელი მოყვარუ... ...ფლიოს საუკეთესო თარჯმორბენლის ...ლაპარაკი, როცა პანამერიკულ თა... ...ი მისი კარიერის გაფურჩქვნის ჟამი ...გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს ...ონაწილეობდა. იტალიელმა „ტიფო... ...ბისა და ოლიმპიური ვერცხლის მედ...

...ნელ გამარჯვებად მიიჩნევდა წარმა... ...ძლეოსნებთან ტრადიციულ მატჩში". ...ლი მისი სპორტული კარიერა, ახლა ...ლგანთქმული სპორტსმენის მოსაგონ... ...ლაკონური ხაგაზეთო ცნობაღა შე... ...კარგა ვიეტნამის ჯუნგლებში ბრძო...

...ამერიკელები ამ სიტყვებში: „ბრძო... ...ი მოსახლეობის მხეცური დაბომბვა, ...ოხუცებისა და ბავშვების წინააღმდეგ ...იეტნამში. ეს უნდა ეკეთებინა სპორ... ...არმიაში გაიწვიეს. მას არ ეყო ძალა ...მარიტად პატრიოტი ამერიკელი მო...

იქცა, ვერ დახია უწყება, ვერ გაბედა უარის თქმა იმპერიალისტთა დანაშაულში მონაწილეობაზე. მაგრამ კამენს კარგად ესმოდა, რა ელოდა სამხრეთ ვიეტნამში. მან ხომ მშვენივრად იცოდა მეორე ამერიკელი მძლეოსნის რ. ზინის ბედი, რომელიც სამხრეთ ვიეტნამის ტყეში განგმირა სახალხო მებრძოლის ტყვიამ. „ყველაფერი დაიღუპა, რაზეც ვოცნებობდი", — უთხრა კამენმა მეგობრებს ინდოჩინეთში გამგზავრების წინ. დიახ, სწორედ მაშინ, ბინძურ ომში მონაწილეობას რომ დათანხმდა, კლიფტონი „უკვალოდ დაიკარგა" როგორც მძლეოსანი, როგორც სპორტსმენი, როგორც ადამიანი.

### ✦ გადაწყვეტილებას მიიღებს უმრავლესობა

ფეხბურთის ევროპის ფედერაციის (უეფა) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი დაისვა. მომხსენებლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ „ფიფა ზოგჯერ ღებულობს გადაწყვეტილებებს უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ (ევროპა და სამხრეთ ამერიკა)". უეფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა, აგრეთვე, წინადადებები იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი სამ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს და ევროპის ჩემპიონატი იქცეს საკვალიფიკაციო შესარჩევ ასპარეზობად ამ უდიდესი ტურნირის წინ.

კიდევ ერთი თაოსნობა: აპირებენ საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელ კომიტეტთან შეიქმნას ე. წ. „მცირე კომიტეტი", რომელშიც შევლენ მხოლოდ ევროპული და სამხრეთამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლები.

ყველა ეს წინადადება ფიფა-ს მორიგ კონგრესს განსახილველად გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ჯერ უეფა-ს წევრთა უმრავლესობა მოიწონებს.

### ✦ საპორო ემზადება

ავსტრიის სათხილამურო სპორტის ვიცე-პრეზიდენტი, ინჟინერი ჰ. შპისი დაბრუნდა საპოროდან (იაპონია), სადაც ზამთრის 1972 წლის ოლიმპიური თამაშები უნდა ჩატარდეს.

შპისმა ჟურნალისტებთან ინტერვიუში თქვა, რომ საპორო უკვე გამალებით ემზადება. საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები მაგალითად ინსბრუკის ოლიმპიადას ისახავენ, მაგრამ იმედოვნებენ, რომ უკეთაც კი ჩაატარებენ თამაშებს.

შპისის აზრით, სლალომისა და გიგანტური სლალომის ტრასა ტეინა-იამაში თითქმის უკვე მზადაა საასპარეზოდ. სწრაფდაშვების ტრასის მოწყობას კი ჯერ კიდევ დიდი შრომა დასჭირდება და ამ საქმეში იაპონელებს ავსტრიელი სპეციალისტები ეხმარებიან. შპისმა ხაზგასმით აღნიშნა, იაპონელები წინასაოლიმპიადო პროპაგანდის ყველა შესაძლებლობას იყენებენ, რათა სათხილამურო სპორტი ეროვნულ სპორტად აქციონ.

საპორო ზღვის დონიდან დაბალ დონეზეა (თუ შევადარებთ ალპიურ მთიან ტრასებს, სადაც სამთო-მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება). ქალაქის უნივერსიტეტი ამჟამად ამუშავებს საკითხს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს თოვლი ოლიმპიური თამაშების დროს (ლაპარაკია თოვლის ტემპერატურაზე, ტენიანობაზე, ხვედრით წონაზე და სხვ.), ხომ არ იქნება საჭირო ხელოვნური თოვლის მოშველიება.

ფოტოეტიუდები



ტალღა და იალქანი. ფოტო ვ. სემიონოვისა.



ნეტავ, ჩქარა ადუღდეს... ფოტო ა. კავკასიძისა.

# ინტერესი განუზომელია

**ტოკიო, 28 ნოემბერი.** არასაფრენი ამინდის გამო საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ორდღიანმა დაგვიანებამ ოდნავადაც არ შეანელა იაპონელებთან მათი ტრადიციული, რიგით მეოთხე მატჩისადმი განუზომელი ინტერესი. გუშინ ღამით, როგორც კი იაპონიის დედაქალაქის „ხანედას" აეროდრომზე გამოჩნდა, სტუმართა მთელი გუნდი კორესპონდენტების ტყვეობაში მოექცა.

დღეს დილით სტუმრები ტელევიზიით გამოვიდნენ, შემდეგ კი ივარჯიშეს. საღამოს საბჭოთა სპორტსმენები სწრაფი მატარებლით ტოკიო—ოსაკა თავიანთ იაპონელ კოლეგებთან ერთად ნაგოიაში გაემგზავრნენ, სადაც 29-30 ნოემბერს პირველი შეჯიბრება გაიმართება.

5 დეკემბრამდე პაუზა ჩამოვარდება, რომლის დროსაც მასპინძლები სტუმრებს იაპონიის ზოგიერთ ქალაქს აჩვენებენ, 5 დეკემბერს კი ამ ორი ტანვარჯიშული ცენტრის საუკეთესო წარმომადგენელთა შეჯიბრება უკვე ტოკიოს გაიმართება. დასკვნითი ასპარეზობა დანიშნულია 7 დეკემბრისთვის.

იაპონური პრესა აღნიშნავს საბჭოთა ნაკრების ძალზე ახალგაზრდა შემადგენლობას (ვაჟთა საშუალო ასაკია 20 წელი, ხოლო ქალთა—18) და განსაკუთრებით გამოყოფს მ. ვორონინსა და ნ. კუჩინსკაიას.

იაპონიის ნაკრები ამ შეხვედრამდე ერთ კვირაზე ცოტა ადრე დააკომპლექტეს. იაპონელები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ ისეთ სახელგანთქმულ ტანმოვარჯიშეებზე, როგორიც არიან ა. ნაკაიამა და ტ. კატო, ხოლო ქალებში მათი იმედია ტ. სიბუია, გუნდის ვეტერანი კ. იკედა და 18 წლის ს. ტაძიმა.

△ **ხობარტი, 28 ნოემბერი.** კუნძულ ტასმანიის ამ მთავარ ქალაქში მსოფლიო რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა კლერკმა რონ კლარკმა ერთ მილზე რბენაში ვერ გაასწრო მეორე კლერკს და მარცხი განიცადა. ეს მეორე კლერკი ავსტრალიის ავიაკომპანიის მოსამსახურე ჯონ დენჰოლმი გახლავთ. მან აჩვენა 4.08,5. კლარკი, რომელსაც ადრე გაზეთებმა „მსოფლიოში ყველაზე სწრაფი კლერკი" დაარქვეს, გამარჯვებულს 0,2 წამით ჩამორჩა.

ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## მადრიდი თუ ბარსელონა?

**ესპანეთის** ჩემპიონატის XI ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვა მადრიდის „რეალმა", რომელმაც მოუგო „ლა კორუნიას" — 3:2.

„ფკ ბარსელონამ" შინ დაამარცხა I ლიგის ახალბედა „ერკულესი" (ალიკანტე) — 4:1, ხოლო ესპანეთის ჩემპიონმა „ატლეტიკომ" — „გრანადა" (2:0).

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ელჩე" — „პონტევედრა" 3:1, „საბადელი" — „ესპანიოლი" 0:1, „კორდოვა"—„რეალ სარაგოსა" 1:1.

აი, ლიდერთა სამეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „რეალი" (მადრიდი) | 11 | 18:8 | 18 |
| „ესპანიოლი" (ბარსელონა) | 11 | 16:9 | 16 |
| „ფკ ბარსელონა" | 11 | 23:10 | 14 |

(საქ. ინფ.).

## „ბენფიკა" სათავეშია

**პორტუგალიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში ლისაბონის „ბენფიკამ" შინ მოუგო „პორტოს" — 3:0. აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი „ბენფიკას" თავდამსხმელებმა ნახევარმცველ გრასას გადაცემებიდან გაიტანეს.

ქვეყნის ჩემპიონმა — ლისაბონის „სპორტინგმა" გასვლითი მატჩი წააგო „გიმარაისთან" — 1:2. თასის მფლობელმა — ბრაგას „სპორტინგმა" სეტუბალში მოუგო ადგილობრივ „ვიტორიას" — 2:1.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „სან-ჟოანენსე" — კუფ (ბარეირო) 0:4, „ბელენენსესი" — „აკადემიკა" 0:1, „ლეიქსოსი" — „ვარზიმი" 2:0, „ბეირა მარი" — „ატლეტიკო" (ლისაბონი) 4:1.

ლიდერობს „ბენფიკა" — 13 ქულა. „სპორტინგს" (ბრაგა) და „აკადემიკას" 11-11 ქულა აქვთ. საუკეთესო სნაიპერია ეუსებიო, რომლის პირად ანგარიშზე ირიცხება 8 ბურთი.

(საქ. ინფ.).

## საბერძნეთსა

**ამ ქვეყნის** ეროვნულ ჩემპიონატს სათავეში უდგას 3 გუნდი: „ოლიმპიაკოსი", აეკ-ი და „პროდევტიკი". ეს უკანასკნელი დაწინაურდა იმის წყალობით, რომ ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსმა" მოუგო „პანათინაიკოსს", ხოლო აეკ-მა — „პანიონიოსს". ორივე შემთხვევაში ანგარიში მინიმალური იყო — 1:0.

## და შვეიცარიაში

**პირველობისთვის** ბრძოლა უმთავრესად მიმდინარეობს „ბაზელსა" და „ციურიჰს" შორის. მას შემდეგ, რაც „ციურიჰმა" თავისი ბოლო შეხვედრა ფრედ დაამთავრა „იანგ ბოისთან" (3:3), 20 ქულით დაწინაურდა „ბაზელი". „ციურიჰი" მას 3 ქულით ჩამორჩება.

ფეხბურთი

# ს. როუზის წინააღმდეგ

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ფედერაციის მორიგი კონგრესის დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს ფიფა-ს პრეზიდენტის ს. როუზისა და მისი თანაშემწეების საქმიანობა. კონგრესმა აღნიშნა საერთაშორისო შეჯიბრებების, განსაკუთრებით კი მსოფლიო ჩემპიონატის სუსტი მსაჯობა.

კონგრესმა მიიღო დადგენილება მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ. სანამ ფიფა არ გამოაქვეყნებს მისი თამაშების ზუსტ განრიგს (უპირატესობა არც ერთ გუნდს არ უნდა მიეცეს) და მსაჯების შემადგენლობას, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გუნდები არ დათანხმდებიან ჩაებან შეჯიბრებაში. კერძოდ, ისინი მოითხოვენ ფინალურ მატჩებში არ დაიშვას არც ერთი მსაჯი იმ 16 ქვეყნიდან, რომლებიც დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ.

# [illegible]

● **ქაირო, 28 ნოემბერი.** პირველი მატჩი გამართეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა როსტოვის არმიელმა ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს და გაიმარჯვეს — 2:1. როსტოველთაგან გოლების ავტორები არიან კოპაევი და ანდრიენკო.

● *ბელგრადი, 28 ნოემბერი.* აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური მატჩი წყალბურთში. ადგილობრივმა „პარტიზანმა" მიიღო მაგდებურგის „დინამო". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 5:3.

● პარიზი, 28 ნოემბერი. საერთაშორისო მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და უნგრეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდების მეორე შემადგენლობანი. გაიმარჯვეს ფრანგებმა — 4:1.

● **მოსკოვი. 28 ნოემბერი.** ლუჟნიკის სპორტის სასახლეში განმეორებითი შეხვედრა სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 7:6.

● *მოსკოვი, 28 ნოემბერი.* ასუჯრიან შაშში საკავშირო ჩემპიონატის XVI ტურში შეჯიბრების ლიდერმა, რიგელმა ა. ანდრეიკომ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა აგაფონოვთან და 10,5 ქულით (15 შესაძლებლიდან) კვლავ ლიდერად რჩება.

ფეხბურთი

# კალეიდოსკოპი

●

## „ტულუზა" ეპატიჟება ლ. იაშინს

**მსოფლიო** ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარის ლ. იაშინის სპორტული კარიერა დასასრულს უახლოვდება, საფრანგეთის პროფესიული კლუბის „ტულუზას" ხელმძღვანელობამ კი წინადადება მისცა ლ. იაშინს გადავიდეს პროფესიონალებში და 1 წლით მოაწეროს ხელი კონტრაქტს ამ კლუბთან.

ეს წინადადება მოვიდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სახელზე. ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მოშკარკინმა ლ. იაშინის სახელით პასუხი გაუგზავნა „ტულუზას", რომ იაშინმა თავისი კარიერა დაიწყო საბჭოთა კავშირში და აქვე დაამთავრებს.

## კურსი გაახალგაზრდავებისკენ

**ავსტრიის** ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ე. ფრიუვირტს განზრახული აქვს საფუძვლიანად განაახლოს თავისი გუნდის შემადგენლობა.

ბოლო მატჩებში ჰოლანდიასთან (2:1), ფინეთთან (0:0) და შვეციასთან (1:4) ავსტრიელთა ნაკრების საშუალო ასაკი უდრიდა 22 წელს. მწვრთნელის განცხადებით, ასეთმა ნაკრებმა შეიძლება დღეს წააგოს, მაგრამ პერსპექტივა მას კარგი ექნება.

## უმაგალითო შემთხვევა

**ინგლისის** ფეხბურთის ისტორიაში უმაგალითო შემთხვევა მოხდა: პირველად შეიცვალა ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კალენდრები. ეს გაკეთდა ნაკრების მწვრთნელის ა. რამსეის მოთხოვნით. მორიგი თამაშის წინ მან ნაკრების წევრთა შეკრება მოინდომა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია რამსეის რომ დაემორჩილა, ეს უბრალოდ აიხსნება: რამსეიმ ხომ ინგლისი მსოფლიო ჩემპიონად გახადა! მწვრთნელმა პირდაპირ განაცხადა: ჩემმა გუნდმა მოიგო მსოფლიო პირველობა იმიტომ, რომ ფეხბურთელები დიდხანს ვარჯიშობდნენ ერთად. თუ ინგლისელებს სურთ მომავალშიც გაიმარჯვონ, ნაკრების წევრებმა მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ერთად უნდა ივარჯიშონ.

## „მიტროპის თასზე"

„მიტროპის თასის" მორიგ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ავსტრიის, იუგოსლავიის, იტალიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის 3-3 გუნდი. გათამაშების მეთექვსმეტე მონაწილე იქნება ამ ასპარეზობაში ბოლო გამარჯვებული — „ფიორენტინა" (იტალია).

შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, მეორე წრის მატჩები 1 აპრილამდე უნდა დამთავრდეს. 15 მაისამდე გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები, ხოლო ფინალური მატჩი — 30 ივნისს.

# გამარჯვებანი

**თეირანი, 29 ნოემბერი.** აქ სტუმრად მყოფმა ერევნის „არარატის" ფეხბურთელებმა მეორე შეხვედრაც მოიგეს: ამჯერად დაამარცხეს ირანის დედაქალაქის ნაკრები — 1:0. ერთადერთი ბურთი შესვენებამდე გაიტანა აზარიანმა.

**დელი,** 29 ნოემბერი. მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა ინდოეთში გამართული ექვსივე თამაში მოიგეს. ბოლო მატჩში მათ ძლიეს ქვეყნის ნაკრებს — 8:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 12122